

შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“ის

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანაგარიშება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
31.12.2020

31.12.2019

ამონაგები	4	30,278	-
მომსახურების თვითღირებულება		(2,776)	-
საერთო მოგება		27,502	-
სხვა შემოსავლები	5	180,486	2,004
ადმინისტრაციული ხარჯები		(587,760)	(182,931)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	6	(742,257)	(137,556)
ფინანსური ხარჯები		(1,237,114)	(1,206,169)
მოგება დაბეგვრამდე		(2,359,143)	(1,524,652)
საგადასახადო ხარჯი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(2,359,143)	(1,524,652)

შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“-ის დირექტორი

ზურაბ ჭაჭიაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
31.12.2020

31.12.2019

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	7	301,877	6,690
არამატერიალური აქტივები	8	40,739	5,527
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	9	3,702,031	400,350

სულ გრძელვადიანი აქტივი

4,044,647

412,567

მიმდინარე აქტივები

მარაგი	10	18,808,513	11,269,366
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,985,264	1,384,389
საგადასახადო მოთხოვნები			498,663
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	2,307,451	183,642

სულ მიმდინარე აქტივები

23,101,229

13,336,060

სულ აქტივები

27,145,876

13,748,627

გრძელვადიანი ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები	13		340,100
გადასახდელი პროცენტი		2,492,580	1,899,950
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14	26,775,523	8,636,681

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები

29,268,103

10,876,731

საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(4,782,458)	(2,423,315)
-----------------------------	-------------	-------------

სულ საკუთარი კაპიტალი

(4,782,458)

(2,423,315)

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	321,370	212,470
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	14	1,917,511	5,082,741
საგადასახადო ვალდებულებები		398,708	-
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		22,642	

სულ მოკლევადიანი

2,660,230

5,295,211

იანვარი 2021 წლის 1-დან

სულ საკუთარი კაპიტალი და
ვალდებულებები

27,145,876

13,748,627

შპს "საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი"-ის დირექტორი

ზურაბ ჭაჭიაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	18,144,210	2,351,853
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(9,467,590)	(6,544,794)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(596,595)	(172,384)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>8,080,025</u>	<u>(4,365,325)</u>
გადახდილი გადასახდები (მოგების გადასახადის გარდა)	(781,787)	
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	<u>7,298,238</u>	<u>(4,365,325)</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>7,298,238</u>	<u>(4,365,325)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(359,708)	(1,672)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(359,708)</u>	<u>(1,672)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(638,296)	(128,622)
სესხის მიღება	9,858,139	5,186,521
სესხის დაფარვა	(13,990,160)	(951,970)
სავალუტო გადაფასების ზარალი	(44,404)	(18,879)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(4,814,721)</u>	<u>4,087,050</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	<u>2,123,809</u>	<u>(279,947)</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	
საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>183,642</u>	<u>463,589</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>2,307,451</u>	<u>183,642</u>

შპს საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“-ის დირექტორი

ზურაბ ჭაჭიაშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2018 ნაშთი	-	(898,663)	(898,663)
წმინდა მოგება/ზარალი	-	(1,524,652)	(1,524,652)
31.12.2019 ნაშთი	-	(2,423,315)	(2,423,315)
წმინდა მოგება/ზარალი	-	(2,359,143)	(2,359,143)
31.12.2020 ნაშთი	-	(4,782,458)	(4,782,458)

შპს საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“-ის დირექტორი

ზურაბ ჭაჭიაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“ რეგისტრირებულია საქართველოში 2017 წლის 30 მარტს საიდ. კოდი 405198806. იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, ქ. ამირეჯიბის გზატ., N 1, ბლოკი ა, ბ. 3. საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანობა რაც კანონით აკრძალული არაა.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად.

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

(ბ) მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს

საგადასახადო კოდექსით (შპსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

შპსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

	უცხოური ვალუტა	31.12.2020 წელი	31.12.2019 წელი
1	აშშ დოლარში (USD)	3,2766	2,8677
2	ევრო (EUR)	4.0233	3.2095

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფაშპს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. კომპანია 100 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას აღიარებს მიმდინარე პერიოდის ხარჯში

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფაშპს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

(ვ) დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა საწარმოს უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით საწარმოს განკარგულებაში არსებული აქტივები აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მოთხოვნის სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები ასახავს როგორც ძირითად თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირებას და ნაწილდება მათ შორის ისე, რომ ფინანსური შემოსავლის აღიარება ასახავდეს ფინანსურ იჯარაში საწარმოს წმინდა საიჯარო ინვესტიციებიდან უკუგების მიღების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება

მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

➤ შენობა-ნაგებობები	5%
➤ მანქანა-დანადგარები	10-15%
➤ საოფისე აღჭურვილობა	20-30%
➤ ავეჯი და მოწყობილობები	14-20%
➤ სატრანსპორტო	10-20%
➤ სხვა ძირითადი	5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

(ი) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

(კ) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გა-

უფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივითა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

(მ) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში

(ნ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ო) სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

(პ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

4. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	მომსახურების გაწევა	30,278	-
	ჯამი	30,278	-

5. სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	საკურსო სხვაობები რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების საკურსო სხვაობების გამოკლებით	99,561	0
2	დაქირავებულ პირთა შეღავათი	450	0
3	საპროცენტო შემოსავლები	6,607	2,004
4	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	73,868	
	ჯამი	180,468	2,004

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	საკურსო სხვაობები რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების საკურსო სხვაობების გამოკლებით	742,257	137,556
	ჯამი:	742,257	137,556

7. ძირითადი საშუალებები

ბალანსში თვითღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

დასახელება	შენიშვნა-ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი: 01.01.2020	-	8,260	1,417	-	-	9,677
აქტივების შემოსვლა	73,481	53,216	19,948	10,083	148,108	304,837
აქტივების გასვლა	-	-	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2020	73,481	61,476	21,365	10,083	148,108	314,514
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
ნაშთი: 01.01.2020		2,888	99			2,986
წლიური ცვეთა	1,633	5,357	914	924	823	9,651
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2020	1,633	8,245	1,012	924	823	12,637
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	71,848	53,231	20,353	9,159	147,285	301,877

საწარმოს ბალანსზე რიცხული 3 522 280 ,ლარის ღირებულების მიწა იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე დატვირთულია იპოთეკით როგორც სესხის უზრუნველყოფის საგანი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს სასახეო ვალდებულებები ბანკის მიმართ შეადგენს 1,545,211 ლარს.(შენიშვნა N14)

8. არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
	თვითღირებულება				
1	პროგრამული უზრუნველყოფა	13,928	10235	-	3693
2	ვებ გვერდი	28,862	26969		1913
	ჯამი	42,790	37204	-	5606
	დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	ნაშთი 31.12.2020	წლიური ამორტიზაცია	გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია (ჩართულია ცვლის და ამორტიზაციის ხარჯში ან ადმინისტრაციულ ხარჯებში)	ნაშთი 31.12.2019
1	პროგრამული უზრუნველყოფა	929	929	-	-
2	ვებ გვერდი	1,122	1043		79
	ჯამი	2,051	1972	-	79
	საბალანსო ღირებულება	40,739			5,527

9. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	მიღებული ავანსები	78,915	78,915
2	მოთხოვნები ავანსადგადახდილი დღგ-დან	2,972,413	236,669
4	წინასწარ გაწეული ხარჯი	650,703	84,766
	ჯამი:	3,702,031	400,350

10. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	დაუმთავრებელი წარმოება	18,808,138	11,269,318
2	სხვა მარაგი	375	48
	ჯამი	18,808,513	13,269,366

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
	სავაჭრო დებიტორები	29,792	10,570
	გაუფასურების ზარალის თანხა	0	0
1	სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	29,792	10,570
2	წინასწარი გადახდები საქონელზე და მომსახურებაზე	1952137	1373819
3	სხვა მოთხოვნები	3335	
	ჯამი:	1,985,264	1,384,389

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	262,930	4,055
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - უცხოური ვალუტა	2,044,521	179,587
	ჯამი:	2,307,451	183,642

13. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	გრძელვადიანი სავაჭრო ვალდებულება	6,300,000	6,300,000
2	მიღებული ავანსები	20,475,523	2,336,681
	ჯამი:	26,775,523	8,636,681

14. სავალო ინსტრუმენტის პირობები

	სესხის ვალუტა	ნაშთი 31/12/2020	საპროცენტო განაკვეთი%	დაფარვის ვადა
		ლარში		
ბანკის სესხი მოკლევადიანი				
საკრედიტო ხაზი	GEL	1,045,211	12.5	29.01.2021
ბანკის სესხი	GEL	500,000	12.5	
ჯამი		1,545,211		
გრძელვადიანი სესხი				
შპს „ვივა ბაგები“	GEL	171,000	0	31.12.2024
ონკოლოგიის საერთაშორისო ასოციაცია	GEL	169,000	0	31.12.2024
ბმა „იმედი 2018“	EUR	32,000	0	31.12.2024
ჯამი		371,200		
სულ ნასესხები სახსრები		1,698,253	-	-

სავალო ინსტრუმენტით განსაზღვრული შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია გახსნილია N 7 შენიშვნაში.

მიღებული ბანკის სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებულმა საპროცენტო ხარჯების მთლიანმა თანხამ შეადგინა 364,730 ლარი (წინა შესადარის პერიოდში შეადგენდა 128,622 ლარს).

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	სავაჭრო ვალდებულებები	1,930,017	885,726
	მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახადელი	-	-
2	სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	1,930,017	885,726
3	წინასწარ მიღებული თანხები	2,614	14,368
	ჯამი:	1,932,631	900,094

16. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დასახელება	კავშირი კომპანიასთან	მიწოდების ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2019	განხორციელებუ ლი ოპერაციის ოდენობა	ნაშთი 31.12.2020
შპს „ვივა ჯგუფი“	მართავს და აკონტროლებს საკონტროლო წილის მფლობელი	-	-	-	-
შპს „რადაგასტი“	მართავს საკონტროლო წილის მფლობელი				-
შპს „ეს-თი-ჯი“	მართავს და აკონტროლებს საკონტროლო წილის მფლობელი				-
შპს „იუჯიტი ფიემენტ სისტემს“	მართავს საკონტროლო წილის მფლობელი				
შპს ემ-დი-ეს	მართავს და აკონტროლებს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირი	მიღებული სესხი		33,700	
შპს ემ-დი-ეს	მართავს და აკონტროლებს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირი	გადასახდელი პროცენტი		98	
შპს „ვივა საბურთალო“	მართავს და არამაკონტროლებს წილს ფლობს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირი				
შპს „ვივა ბათუმი“	მართავს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მართვაზე პასუხისმგებელი პირს				
შპს „თავისუფალი ვაჭრობის კომპლექსი დილომი-93“	საერთო მართვაზე პასუხისმგებელი პირი/ მშობელ კომპანიას მართავს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მართვაზე პასუხისმგებელი პირს				
შპს „ვივა ფროფერტი“	კომპანიას მართავს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მართვაზე პასუხისმგებელი პირს				
შპს „ვივა მედიკალი“	საერთო მართვაზე პასუხისმგებელი/აკონტროლ ებს მართვაზე პასუხისმგებელი პირი				
შპს „ვივა ჟვანია“	კომპანიას მართავს და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მართვაზე პასუხისმგებელი პირს				
შპს „ვივა ფროჯექტს“	მართავს და ფლობს მართვაზე პასუხისმგებელი პირი				
შპს „აისი სამშენებლო კომპანია“	არამაკონტროლებს წილს ფლობს მართვაზე პასუხისმგებელი პირი				
შპს „ვივა ინვესტი“	მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირს და საკონტროლო წილის მფლობელს	მიღებული სესხი	385170	-	

შპს "ვივა ინვესტი"	მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირს და საკონტროლო წილის მფლობელს	გადასახდელი პროცენტი	89,005	3,482	
შპს „ვივა ბაგები“	აკონტროლებს მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირი	მიღებული სესხი	171,000		171,000
ჯამი			-		-

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 22 სექტემბერს.

შპს საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი“-ის

დირექტორი: ზურაბ ჭაჭიაშვილი

29.09.2021 წ.